ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3102978

ნომერი: AR1465620

თარიღი : 28.12.2016

გაცემის თარიღი : 20.02.2017

გაცნობის თარიღი : 24.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აბანოს , N 7 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი აბანოს , N 6 / ქალაქი თბილისი , აბანოს შესახვევი N4 / ქალაქი თბილისი , შესახვევი აბანო , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დან ნახუმ პ/ნ 01017036708
- თბილისი მისამართის გარეშე

ორგანიზაცია:

- შპს "დან დიურ ჰოლდინგი" კოდი: 2038855104

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.07.2012 წ. №266080 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 28.12.2016 წ. №AR1465620 განცხადებით მომართა დან ნახუმმა და მოითხოვა 18.07.2012 წ. №266080 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად  შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 18.07.2012  წ. №266080 გადაწყვეტილებით №01.18.03.063.001, №01.18.03.063.014, №01.18.03.063.027 და №01.18.03.063.038 ( საერთო ფართობით 458 კვ.მ) საკადასტრო ერთეულებზე მრავალფუნქციური შენობის ასაშენებლად დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 09.11.2012 წ. №425168 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერები და საკადასტრო გეგმები საჯარო რეესტრიდან  (საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.001 ფართობი: 273 კვ.მ. და საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.044 ფართობი: 162 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია მიწის ნაკვეთების ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის მონაცემების ცვლილება უნდა აისახოს  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.07.2012  წ. №266080 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმები (რეგისტრაციის №882017008218 და №882017047901) საჯარო რეესტრიდან;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.07.2012  წ. №266080 გადაწყვეტილებით დამკიცებულ  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი მიეთითოს-435 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-№01.18.03.063.001 და №01.18.03.063.044;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.07.2012  წ. №266080 გადაწყვეტილებით დამკიცებულ  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 09.11.2012 წ. №425168 ბრძანებასთან ერთად;

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ  შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.